საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3165-02
01/12/2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები სამართლის სკოლიდან აკადემიური პერსონალისათვის 2 ვაკანტურ ადგილზე;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1 დეკემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე განაცხადის გამოგზავნით info@iliauni.edu.ge (დანართი 1);

3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატი აკადემიური პერსონალის კვოტიდან უნდა იყოს სამართლის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი და არ უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრი.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში;

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2022 წლის 9 დეკემბრამდე მიაწოდოს აკადემიური პერსონალისა სია, პირადი ნომრის მითითებით;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 14 დეკემბერს.

7. არჩევნებში მონაწილეობს სამართლის სკოლის ყველა აკადემიური პერსონალი.

8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლას დაევალოს ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალისათვის;

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, სამართლის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი